2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N 1

ჩოხატაური, წერეთლის N2

14.06.2024 წ.

„2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის" სხდომა გაიხსნა 2024 წლის 30 სექტემბერს.

სხდომა ჩატარდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, ჩოხატაური , წერეთლის ქუჩა N2

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 01 მარტის N 46.46240612 ბრძანების საფუძველზე.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 01 მარტის N N 46.46240612 ბრძანების შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - დავით შარაშიძე

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან:

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - დავით შარაშიძე,

სამუშაო ჯგუფის წევრები: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და საკრებულოს წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის მომზადება/განახლების და 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის ცვლილება.

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ვლადიმერ სიხარულიძის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით.

ვლადიმერ სიხარულიძემ სამუშაო ჯგუფს განუმარტა შემდეგი: ვინაიდან საკრებულო წარმოადგენს მაკონტროლებელ ორგანოს , შესაბამისად საკრებულოს თანამდებობის პირები სამუშაო ჯგუფში არ უნდა იყვნენ.
ასევე აღნიშნა , რომ სამუშაო ჯგუფში აუცილებლად უნდა იყოს გენდერზე პასუხისმგებელი პირი.

სამუშაო ჯგუფმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული ჯგუფის ცვლილების შესახებ და დაევალა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მოამზადოს სამუშაო ჯგუფის შექმნაზე ბრძანების კორექტირებული პროექტი (2024 წლის 01 მარტის N 46.46240612 ბრძანებაში ცვლილება)

სამუშაო ჯგუფმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება: მიღებულ იქნეს ცნობად მაია გოგოლაძის მოხსენება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარი ვარიანტის შესახებ და გაგრძელდეს მუშაობა ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის ფორმირებაზე.

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი **დავით შარაშიძე**

სამუშაო ჯგუფის წევრები:

მაია კუტუბიძე

ირაკლი ახობაძე

მაია გოგოლაძე

ნიკოლოზ დუმბაძე

ზაზა ოსეფაიშვილი

თეა მამალაძე

ვლადიმერ გოგიბერიძე

ბექა სირაძე

გია გიორგაძე

დავით თოდრია

თეა უჯმაჯურიძე

მაია პაიჭაძე

ალეკო კვინტრაძე